საქართველოს ტურიზმის სექტორის აღდგენა და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე კოვიდ-19-ის პანდემიის შემდეგ

მსოფლიო ეკონომიკა კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ექსტრემალური გამოწვევების წინაშე დგას და ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყნები ამას ყველაზე მძაფრად განიცდიან. რა თქმა უნდა, პრობლემები წარმოიშვა საქართველოშიც, როგორც ტურისტებისთვის მეტად მიმზიდველ ქვეყანაში, თუმცა პოსტპანდემიურ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფად და ეფექტურად აღდგენისთვის. საქართველოს ტურიზმის სექტორის სტატისტიკური მაჩვენებლები, ექსპერტების მოსაზრებები და ეკონომიკის სექტორის მონაცემები ამის დასტურია.

OECD-ის ტურიზმის კომიტეტის 2023 წლის სხდომაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ასე შეაფასა მდგომარეობა: "საქართველოს ტურიზმის სექტორმა აჩვენა განსაკუთრებული მდგრადობა და აღდგენის უნარი კოვიდ-19-ის პანდემიის შემდეგ. 2022 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 3.5 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც არა მხოლოდ აღემატება პანდემიამდელ მაჩვენებელს, არამედ წარმოადგენს ისტორიულ მაქსიმუმს ჩვენი ქვეყნისთვის.[1] ეს მიღწევა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის საერთო აღდგენასა და ზრდას‘‘.

2020 წელს საქართველოს ტურიზმის სექტორში უკუსვლა დაფიქსირდა; გავრცელებული ინფორმაციით, პანდემიამდე იგი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 8.4%-ს შეადგენდა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები აჩვენებს, რომ 2020 წელს საერთაშორისო ვიზიტორები 80%-ზე მეტით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. მაგრამ სექტორის ნელი გაუმჯობესება 2021 წელს უკვე დაიწყო და 2022 წელს კიდევ უფრო გაიზარდა. 2022 წელს საერთაშორისო ტურისტების რაოდენობამ საქართველოში 3.7 მილიონს მიაღწია (რაც უდრის 2019 ცწლის მაჩვენებლის 71.9%-ს).[2] ეს მონაცემები აჩვენებს, რომ ტურიზმის სექტორი აქ სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო სწრაფად აღორძინდა. ამ ფენომენის კვლევისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება და კვლევის ფოკუსირება კონკრეტულ ინდუსტრიაზე, კერძოდ, ე.წ. ჰოსპიტალიტის, იგივე სტუმართმოყვარეობის სექტორზე.

[1] OECD Tourism Committee, 2023
[2] Georgian National Tourism Administration, 2020-2022

2022 წლის განმავლობაში სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით 23%-ით გაიზარდა.[3] ეს მეტყველებს ჰოსპიტალიტის სექტორის სწრაფ და ეფექტურ განვითარებაზე. მაჩვენებელი მიუთითებს ინვესტორების ნდობაზეც, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკურ ზრდასთან. სასტუმროების დაჯავშნის რიცხვმა 2022 წლის ბოლოს 68% შეადგინა. ეს მონაცემი 5%-თ აღემატება 2019 წლისას. შესაბამისად, ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ტურისტული ნაკადი აღდგა და გაიზარდა კიდეც.

საგანგებოდ აღსანიშნავია საერთაშორისო სასტუმროების ბრენდების შემოსვლა საქართველოში. 2021-2023 წლებში ქვეყანაში შემოგვემატა Hilton Garden Inn თბილისში, Radisson Collection ქუთაისში და Hyatt Regency Batumi ბათუმში.[4]თავის მხრივ ესეც ცხადყოფს, რომ საქართველო, როგორც ტურისტული ქვეყანა, პოპულარული ხდება არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ საერთაშორისო დონეზეც.

რესტორნებისა და კვების ობიექტების შემოსავალმა 2022 წელს 2,1 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 15%-ით აღემატება წინა კრიზისულ წელს (2019)[5]. ანალოგიურად, მნიშვნელოვანი განვითარება შეინიშნება ტურისტული სერვისების ფარგლებში. 2022 წელს ტურისტული სააგენტოების რაოდენობა 1500-ზე მეტი იყო (30%-ით მეტი 2019 წელთან შედარებით)[6] მათი ზრდა მეტყველებს მზარდ ინტერესზე ამ ნიშნის მიმართ და ამასთან - ახალ ბიზნეს პერსპექტივებზე.

ზრდის მაღალ ტემპს აჩვენებს საკურორტო სფერო, კერძოდ, ეკოტურიზმი: 2021-22 წლისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მომზადდა 50-ზე მეტი ახალი ეკოლოგიური მარშრუტი.[7] ტენდენცია ემთხვევა მდგრადი ტურიზმის გლობალურ გამოცდილებას და, სავარაუდოდ, საქართველო მეტად მიმზიდველი გახდება ეკოლოგიური ტურიზმით დაინტერესებული ტურისტებისთვის.

[3] Georgian National Tourism Administration, 2022
[4] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2021-2023
[5] Georgian National Statistics Office (Geostat), 2022
[6] Georgian National Tourism Administration, 2022
[7] Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, 2021-2022

აეროპორტისა და ავიაკომპანიის მონაცემები ასევე ადასტურებს ზრდას სექტორში. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა ნაკადმა 2022 წელს 3 მილიონს

გადააჭარბა, რაც მხოლოდ 19.1%-ით ჩამორჩება სამი წლის წინანდელ რეკორდულ დონეს (2019 წელს).[8] 2021-2023 წლებში საქართველომ დაიწყო ფრენები 15 ახალი მიმართულებით - პირდაპირ აბუ დაბიდან, მანჩესტერიდან და ბოლონიიდან.[9] ეს, თავის მხრივ, საქართველოს მიმართ ტურისტების მზარდი ინტერესისა და მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებასთან საჰაერო სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესების მაჩვენებელია.

- ქუთაისი-აბუ დაბი: Wizz Air-მა დაიწყო პირდაპირი ფრენები ქუთაისიდან აბუ დაბიში.

- თბილისი-რიადი: FlyArystan-მა დაიწყო პირდაპირი ფრენები თბილისიდან საუდის არაბეთის დედაქალაქში

- თბილისი-ჯიდა: Georgian Airways-მა დაამატა ახალი მარშრუტი თბილისიდან ჯიდაში.

- თბილისი-მანჩესტერი: Wizz Air-მა დაიწყო პირდაპირი ფრენები თბილისიდან მანჩესტერში.

- ქუთაისი-ბოლონია: Wizz Air-მა დაამატა ახალი მარშრუტი ქუთაისიდან ბოლონიაში.

[8] Tbilisi International Airport, 2022
[9] Georgian Civil Aviation Agency, 2021-2023

ეს მონაცემები საკმარისია იმის წარმოსაჩენად, რომ ქვეყანაში ტურიზმის მიმართულებით თვალსაჩინო წინსვლაა და სექტორი განვითარების გზაზე დგას. ამას ადასტურებს როგორც რაოდენობრივი (ობიექტების რაოდენობა და ბრუნვა), ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლები (უცხოური საერთაშორისო ბრენდების შემოსვლა, ახალი

ინსტრუმენტების შემუშავება და ა.შ.). ტურიზმისა და ჰოსპიტალიტის ინდუსტრია არის საკვანძო სექტორი, რომელზეც პირდაპირ იქნება დამოკიდებული საინვესტიციო კლიმატი. პანდემიის შემდეგ, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი გზა ეკონომიკის აღდგენისთვის იყო სწორედ ეს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი British Airways-ის და Easyjet-ის შემოსვლასთან დაკავშირებით: „ძალიან რთული და საინტერესო გზა გამოვიარეთ იმისთვის, რომ 2 დღის განმავლობაში 2 უმნიშვნელოვანესი სიახლე შეგვეწყობინებინა ჩვენი საზოგადოებისთვის. პირველი ეს არის ავიაკომპანია British Airways-ის საქართველოს ბაზარზე შემოსვლა. დაახლოებით 3 წლის განმავლობაში … შემდგომში უკვე აღდგენის დინამიკა და სტატისტიკური მაჩვენებლები, რამდენად იზრდება საქართველოში ტურიზმი, რამდენად მზარდია მგზავრთნაკადი, როგორია მოთხოვნა საქართველოს მიმართ ზუსტადაც, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან და ე.წ. შორი მანძილის ქვეყნებიდან - ამან განაპირობა ის, რომ ჩვენ შევძელით და ბოლო პერიოდის განმავლობაში ავაჩქარეთ გადაწყვეტილების მიღება და ავიაკომპანიას რეალურად ჩვენ წარვუდგინეთ ციფრები ტურიზმში, ავიაციაში, რამაც განაპირობა მათი დადებითი გადაწყვეტილება.“ ეს ყოველივე დასტურია იმისა, თუ რამდენად ეფექტურად შეძლო საქართველომ განვითარება ტურიზმის სექტორში, რამაც განაპირობა დიდი ბრენდების დაკმაყოფილება, როგორიცაა British Airways, რათა შემოსულიყვნენ ჩვენს ქვეყანაში. წამყვანი ავიაკომპანიების არსებობა საქართველოში სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. მათი შემოსვლა კონკურენციას სასიკეთოდ განავითარებს ტურიზმის ინდუსტრიაში.

კიდევ ერთი ავიაკომპანია, რომელიც შემოდის საქართელო ბაზარზე არის easyJet, რაც სწორი ნაბიჯების გადადგმის შედეგია. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ავიაციის სექტორისათვის. როგორც მეორე ბრიტანული დაბალბიუჯეტიანი ავიახაზები, easyJet-ი ხელს შეუწყობს ხელს კონკურენციის გაზრდას, ფასების შემცირებას და ტურიზმის განვითარებას. ეს ნაბიჯი დადებით გავლენას იქონიებს საქართველოს ურთიერთობაზე ევროკავშირის

ქვეყნებთან და ასევე გაზრდის სამუშაო ადგილების რიცხვს, ტურისტების და პოტენციური ინვესტორების რაოდენობასთან ერთად.

საქართველოს არჩევანი, რომ არ მიიღოს რუსეთის სანქცირებული ავიახაზები, თუმცა ასევე თავი შეიკავოს სანქციების პირდაპირი განხორციელებისაგან, არის პრაქტიკული მიდგომა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის. ეს სტრატეგია ხელს უწყობს საქართველოს, რომ შეინარჩუნოს ბალანსი საერთაშორისო ვალდებულებებსა და ეკონომიკურ სტაბილურობას შორის. ქვეყანა ახერხებს ტურიზმის სექტორის დაცვას, გარკვეული ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას რუსეთთან და იმავდროულად საერთაშორისო სანქციების მხარდაჭერის გამოხატვას, რაც აუმჯობესებს მის პოზიციას დასავლელ პარტნიორებთან. ეს სტრატეგია ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას მოკლევადიან პერიოდში, თუმცა გრძელვადიან მდგრადობას ადგილობრივი ეკონომიკის გამრავალფეროვნების განვითარება აქვს დიდი მნიშვნელობა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე და Flydubai-ს ყოფილი რეგიონული მენეჯერი საქართველოში და ყოფილი სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყნის მთავრობის სტრატეგია ეფუძვნება ქვეყნისთვის სტრატეგიულ და ასევე განსაკუთრებით მაღალ მსყიდველუნარიან ტურისტებზე ფოკუსის გაკეთებას. კონკრეტულად 5 ახალი პირდაპირი ავიარეისისთვის გააფორმეს კონტრაქტი მნიშნელოვან ქვეყნებთან და მსოფლიოში წამყვან საჰაერო კომპანიებთან. ბუნებრივია ამ ნაბიჯმა გაახშირა ფრენების სიხშირე ქვეყანაში, რაც
პირდაპირ აღინიშნება შემდეგ სტატისტიკაში – მიმდინარე წლის 6 თვეში, საქართველოს აეროპორტები 3,150,721 მგზავრს და 13,982 რეისს მოემსახურა, 2023 წლის იანვარ-ივნისთან მიმართებაში მგზავრთა ნაკადის ზრდა 28%-ს, ავიარეისების ზრდა კი 31%-ს შეადგენს.[10] მიმდინარე წლის ორ კვარტალში 25%-ით მეტია პანდემიამდელ, 2019 წლის იანვარ-ივნისში მიღებული მგზავრების რაოდენობაზე ხოლო რეისების ოდენობა 18%-ით არის გაზრდილი. მეორე კვარტლის მონაცემებით, 2024 წელს მგზავრთნაკადში 22%-იანი (1,385,432 მგზავრი), რეისების რაოდენობაში კი 28%-იანი (5,923 რეისი) ზრდა ფიქსირდება. *(ინტერპრესნიუსი)*

მნიშნელოვანია ასევე აღინიშნოს რომ დივერსიფიკაცია ასევე კრიტიკული სტრატეგიაა მთავრობის პოლიტიკაში. პოსტკოვიდ პერიოდში მინისტრი დავითაშილი და მინისტრის მოადგილე ქვრივიშილი შეხვდნენ ჩინური ავიაკომპანიების - Hainan Airlines-ის, Capital Airlines-ის და Sichuan Airlines-ის ხელმძღვანელებს. საუბარი ეხებოდა ჩინეთის სხვა ქალაქებიდან პირდაპირი ფრენების განხორციელებას, რაც გარდა იმისა რომ მეტად შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას ტურიზმის სფეროში, ასევე გაცილებით გაზრდის ჩინეთიდან წამოსული ნაკადის სიხშირეს. ეს პერსპექტივა განსაკუთრებით რეალისტური და ოპტიმალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველომ ჩინეთის მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლა დააწესა. ამ ვითარებაში, პირდაპირი ავიარეისები ლოგიკური გადაწყვეტილება გახდა ორივე ქვეყნისთვის.

მინისტრი დავითაშილის მიხედვით 2023 წელი 2022 წელთან შედარებით ჩინეთიდან 555%-ით მეტი ვიზიტორი მიიღო საქართველოდან. ანალოგიურად 2024 წლის ორი კვარტალი 256%-ით გაიზარდა.[11]

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, კობა გვენეტაძე, 2023 წლის დასაწყისში აღნიშნავდა: "ტურიზმის სექტორის სწრაფი აღდგენა არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკის მდგრად ზრდას პანდემიის შემდგომ პერიოდში. 2022 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 3.5 მილიარდ აშშ

[10] Interpress News, 2024
[11] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2024

დოლარს გადააჭარბა, რაც აღემატება პანდემიამდელ მაჩვენებელს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს.[12]" ეს განცხადება ხაზს უსვამს ტურიზმის სექტორის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური აღდგენის პროცესში.

მსოფლიო ბანკის 2023 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ აღნიშნულია: "საქართველოს ეკონომიკის აღდგენა პანდემიის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის სექტორის სწრაფი გამოცოცხლება, რაც ხელს უწყობს დასაქმების ზრდას და ეკონომიკურ აქტივობას მრავალ

დაკავშირებულ სექტორში." ეს შეფასება ასევე ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას ტურიზმის გადამწყვეტი როლის შესახებ ქვეყნის ეკონომიკურ აღდგენაში.

„2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო ტურიზმი 2019 წლის მაჩვენებლის 87%-ით აღდგა.[13] ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ წლის ბოლომდე საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა პანდემიამდელი პერიოდის თითქმის 90%-ს მიაღწევს. ამასთან, ბევრმა ქვეყანამ უკვე აღადგინა ტურისტული ნაკადი და გადააჭარბა კიდეც 2019 წლის მაჩვენებლებს", - ნათქვამია გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განცხადებაში.

ტურიზმის სექტორის აღდგენას თან ახლავს მნიშვნელოვანი მულტიპლიკატორული ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, გიორგი პერტაია, 2023 წლის დასაწყისში აღნიშნავდა: "ტურიზმის სექტორის აღდგენა პირდაპირ აისახება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, განსაკუთრებით რეგიონებში. ეს ხელს უწყობს დასაქმების ზრდას, შემოსავლების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ აქტივობას მთელი ქვეყნის მასშტაბით." ეს კომენტარი ხაზს უსვამს ტურიზმის მნიშვნელობას არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ რეგიონული განვითარების თვალსაზრისითაც.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) 2023 წლის ანგარიშში ნათქვამია: "საქართველოს ეკონომიკის მდგრადობა პანდემიის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ტურიზმის სექტორის სწრაფი აღდგენა არის ერთ-ერთი

[12] National Bank of Georgia, 2023

[13] United Nations World Tourism Organization (UNWTO), 2023

მთავარი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა, მიმართული ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ახალი ბაზრების მოზიდვისკენ, იძლევა პოზიტიურ შედეგებს." ეს შეფასება ადასტურებს, რომ საქართველოს მთავრობის სტრატეგია ტურიზმის სექტორის აღდგენის მიმართულებით ეფექტური იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის სექტორის აღდგენა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს

საქართველოს ეკონომიკურ ზრდას, არსებობს გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი, დავით თვალაბეიშვილი, 2023 წლის შუა პერიოდში აღნიშნავდა: "მიუხედავად ტურიზმის სექტორის შთამბეჭდავი აღდგენისა, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ საჭიროა ეკონომიკის დივერსიფიკაცია და სხვა სექტორების განვითარება, რათა შევამციროთ დამოკიდებულება ერთ კონკრეტულ სექტორზე.[14]" ეს განცხადება მიუთითებს, რომ მთავრობა აცნობიერებს როგორც ტურიზმის მნიშვნელობას, ისე ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების აუცილებლობას.

მართლაც, საქართველოს ეკონომიკის აღდგენა და ზრდა პოსტპანდემიურ პირობებში უფრო ფართო პერსპექტივიდან უნდა შეფასდეს, განსაკუთრებით ტურისტულ ინდუსტრიაში. მდგრადი და აღმავალი ეკონომიკური განვითარებისთვის მომავალ წლებში აუცილებელია როგორც ტურიზმის სფეროს გაუმჯობესებაზე მუშაობის გაგრძელება, ასევე განათლების სისტემის გამყარებაც.

ამ მიმართულებით გადამწყვეტი ხდება საქართველოში საუკეთესო უნივერსიტეტების ინტეგრირება. ეროვნული უნივერსიტეტების დახვეწა და საერთაშორისო უნივერსიტეტების ჩამოყვანა არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია საგანმანათლებლო დონის ასამაღლებლად, არამედ ხელს უწყობს დარგის განვითარებას. ეს ემყარება რამდენიმე ძირითად ფაქტორს:

მაღალი დონის უნივერსიტეტები და საგანმანათლებლო დაწესებულებები საერთაშორისო სტუდენტების სამიზნეა. ზოგადად, ეს განაპირობებს საგანმანათლებლო ტურიზმის პროგრესს. ეს მიმართულება ჯერჯერობით საფუძვლიანად გამოკვლეული არ ყოფილა. საერთაშორისო სტუდენტები არა მხოლოდ სწავლობენ ქვეყანაში, არამედ

[14] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2023

ცხოვრობენ იქ საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში. მათ ასევე ხშირად სტუმრობენ ოჯახის წევრებიც და მეგობრებიც, რაც მეტი ადამიანის შემოდინებას უწყობს ხელს. იმავდროულად, საუკეთესო უნივერსიტეტები ახორციელებენ აკადემიურ ტურებს, რასაც კვლევითი ტურიზმი ეწოდება და ამ ყველაფერს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში წვლილი შეაქვს.

წამყვანი უნივერსიტეტები აორგანიზებენ საერთაშორისო კონფერენციებს, სიმპოზიუმებსა და სემინარებს. იზრდება ტურისტული ნაკადები და ქვეყანა იძენს ინტელექტუალური ცენტრის რეპუტაციას რეგიონში. გარდა ამისა, უნივერსიტეტები, როგორც წესი, ინოვაციებისა და ტექნიკური განვითარების კერებიცაა. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინვესტიციებს და მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიების ზრდას. ასეთი ეკოსისტემის არსებობა ზრდის ბიზნეს ტურიზმს და იზიდავს ინვესტორებს.

მაღალგანვითარებული საგანმანათლებლო დაწესებულებები აუმჯობესებენ რეგიონული სამუშაო ძალის უნარებს, რაც შემდგომ ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და საქართველოს გლობალურ ბაზარზე ხარისხიანი პროდუქტის პოპულარიზაციას. ეს ნიშნავს ეკონომიკის ზრდის მდგრადობას დიდი ხნის განმავლობაში. რეკომენდაცია ეკონომიკის სამინისტროს მიმართ: სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ყოვლისმომცველი სტრატეგია, რათა მოიზიდოს და განავითაროს საუკეთესო უნივერსიტეტები.

- ეს სტრატეგია შეიძლება შედგებოდეს შემდეგისგან: მოლაპარაკებების დაწყება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან საქართველოში მათი ფილიალების ან ერთობლივი პროგრამების დასაარსებლად (საერთაშორისო პარტნიორობის პროგრამა). ეს მოიცავს მოდელებს, როგორიცაა NYU Abu Dhabi, ან Yale-NUS College (სინგაპურში).
- კვლევითი გრანტების პროგრამა - სახელმწიფო საგრანტო პროგრამების, დიდი ეროვნული კვლევითი პროექტების ჩამოყალიბება; საქართველოში მაღალკვალიფიციური მკვლევრების მოზიდვა, ქვეყნის სამეცნიერო იმიჯის ამაღლება.
- გარდა ამისა, დაგეგმილია სპეციალური სავიზო რეჟიმის დაწესება საერთაშორისო სტუდენტებისთვის, რაც დაეხმარება მათ შესვლის გამარტივებაში, ასევე დასაქმებაში სწავლის პერიოდში და დამთავრების შემდეგ. საცხოვრებლის, ტექნოპარკებისა და კულტურული ცენტრების მშენებლობა უნივერსიტეტების ირგვლივ ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. ● ენობრივი

პროექტები: ქართული ენის ინტენსიური კურსების შეთავაზება საერთაშორისო მეცნიერთათვის; ეს ხელს შეუწყობს მათ სოციალიზაციას და საზოგადოებრივ ჩართულობას.

- ბიზნეს თანამშრომლობის პლატფორმა: უნივერსიტეტებსა და ბიზნეს სექტორს შორის პარტნიორობის ხელშეწყობა ინოვაციური გადაწყვეტილებების კომერციალიზაციის მხარდასაჭერად, რაც აუცილებელია წარმატებული ურთიერთობის გასამყარებლად.
- საერთაშორისო აკრედიტაცია - ეროვნული პროგრამის ორგანიზება და ადგილობრივ უნივერსიტეტებს უცხოური უნივერსიტეტების შეძენაში დახმარება, რითაც გაზრდის მათ მიმზიდველობას საერთაშორისო სტუდენტებისთვის.
- ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება: მაღალსიჩქარიანი ინტერნეტისა და მოწინავე ციფრული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა სკოლებში დისტანციური სწავლების პროგრამების გასაძლიერებლად.

წამყვანი ქართული უნივერსიტეტების შექმნა არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო პროექტი - ეს არის ყოვლისმომცველი ეკონომიკური სტრატეგია, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარება. ეს არის გეგმა, რომელიც ახორციელებს ტურიზმისა და კომერციული საქმიანობის გაზრდის პოტენციალს.

ამ სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო იქნება ინვესტიციები და მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო უწყებას, კერძო სექტორსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის. მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამ ინვესტიციებს ექნება დადებითი ეკონომიკური ეფექტი და ამით გაზრდის საქართველოს კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზარზე, ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას.

პირდაპირი ფრენები უდიდესი საერთაშორისო ჰაბებიდან დაუყოვნებლივ გამოიწვევდა ტურისტების ზრდას რეგიონში: მათი ნაწილი პირდაპირ მიდის სასტუმროებში, რესტორნებში და ტურიზმთან დაკავშირებულ ბიზნესში. გარდა ამისა, ახალი ავიახაზების შემოყვანა კიდევ უფრო გააღრმავებს კომერციულ კავშირებს. პირდაპირი ფრენები

მსოფლიო ბიზნესის ძირითადი დედაქალაქებიდან და ცენტრებიდან მნიშვნელოვანია ინვესტიციების

განსახორციელებლად, ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად; მოსალოდნელია, რომ ავიაკომპანიების ზრდა გამოიწვევს მეტ კონკურენციას, შესაბამისად დაბალ ფასს და უკეთეს მომსახურებას. ამით ჩვენ გავაძლიერებთ არა მხოლოდ მგზავრთა ნაკადს, არამედ საქართველოს მოქალაქეების სატრანსპორტო მობილობას.

ბიბლიოგრაფია:

1. *OECD Tourism Committee. (2023). Statement by Levan Davitashvili, Minister of Economy and Sustainable Development of Georgia.*

2. *Georgian National Tourism Administration. (2020-2022). Annual Tourism Statistics Reports.*

3. *Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2022). Tourism Sector Recovery Report.*

4. *Georgian National Tourism Administration. (2022). Hotel and Accommodation Statistics.*

5. *Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2021-2023). Report on International Hotel Brands in Georgia.*

6. *Georgian National Statistics Of ice (Geostat). (2022). Restaurant and Food Service Revenue Report.*

7. *Georgian National Tourism Administration. (2022). Tourist Agency Statistics. 8. Ministry of*

Environment Protection and Agriculture of Georgia. (2021-2022). Ecotourism Development Report.

9. Tbilisi International Airport. (2022). Annual Passenger Traf ic Report.

10. Georgian Civil Aviation Agency. (2021-2023). New Flight Routes Report.

11. Kvrivishvili, M. (2023). Statement on British Airways and EasyJet entering the Georgian market. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia.

12. National Bank of Georgia. (2023). Annual Economic Report. Statement by Koba Gvenetadze, President of the National Bank of Georgia.

13. World Bank. (2023). Georgia Economic Update.

14. United Nations World Tourism Organization (UNWTO). (2023). Global Tourism Recovery Report.
15. Georgian Chamber of Commerce and Industry. (2023). Economic Impact of Tourism Recovery. Statement by Giorgi Pertaia, President of the Georgian Chamber of Commerce and Industry. 16. European Bank for Reconstruction and Development (EBRD). (2023). Georgia Country Report.

17. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2023). Economic Diversification Strategy. Statement by David Tvalabeishvili.

18. *Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2024). Aviation Sector Growth Report.*

19. *Interpress News. (2024). Report on passenger and flight growth in Georgia.*

20. *Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2024). Report on Chinese tourism growth in Georgia.*